

შპს „დაგეტა კაპიტალი“

ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

სარჩევი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....	3
სრული შემოსავლის ანგარიშგება.....	4
კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება.....	4
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება.....	5
ზოგადი ინფორმაცია	6
1. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა	6
განცხადება შესაბამისობის შესახებ	6
ოპერაციები უცხოურ ვალუტაში	7
სააღრიცხვო პოლიტიკა	8-11
2. მიღებული დივიდენდი	12
3. ადმინისტრაციული და სხვა ხარჯები	12
4. სხვა მიმდინარე ვალდებულებები	12
5. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ექვივალენტები.....	12
6. ინვესტიციები მეკავშირე და ერთობლივ საწარმოებში	13
7. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები	13
8. ფინანსური რისკები.....	13
9. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება.....	13

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრისთვის

		2024 წელი	2023 წელი
		ლარი	ლარი
მიმდინარე აქტივები	შენიშვნები		
ნაღდი ფული	5	99,934	171,122
სავაჭრო მოთხოვნები		-	-
სასაქონლო-მატერიალური მარაგები		-	-
სხვა მოკლევადიანი აქტივები		278	303
სულ მიმდინარე აქტივები		100,212	171,425
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები		-	-
ინვესტიციები მეკავშირე და ერთობლივ საწარმოებში	6	25,683,600	25,501,100
სულ გრძელვადიანი აქტივები		25,683,600	25,501,100
სულ აქტივები		25,783,812	25,672,525
ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი			
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო ვალდებულებები		-	-
სხვა მიმდინარე ვალდებულებები	4	46,440	65,015
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		46,440	65,015
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		-	-
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		25,101,309	25,101,309
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)		636,063	506,201
სულ კაპიტალი		25,737,372	25,607,510
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		25,783,812	25,672,525

შპს „დაგეტა კაპიტალი“-ს დირექტორი
ირაკლი კაკაბაძე

6-13 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგება

	შენიშვნები	2024 წელი ლარი	2023 წელი ლარი
მიღებული დივიდენდი	2	5,908,161	7,305,882
სხვა საოპერაციო შემოსავალი		-	-
სულ საოპერაციო შემოსავლები		5,908,161	7,305,882
ადმინისტრაციული და სხვა ხარჯები	3	(5,554,602)	(7,515,151)
ცვეთა და ამორტიზაცია		-	-
სულ საოპერაციო ხარჯები		(5,554,602)	(7,515,151)
საოპერაციო მოგება		353,559	(209,269)
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი		-	-
სხვა არასაოპერაციო ხარჯი		-	-
ფინანსური შემოსავალი / (ხარჯი)		51,675	99,443
მოგება / (ზარალი) საკურსო სხვაობიდან		34,226	42,777
მოგება დაბეგვრამდე		439,460	(67,049)
მოგების გადასახადის ხარჯი		(46,440)	(65,015)
მთლიანი სრული შემოსავალი		393,020	(132,064)

2024 დასრულებული წლის კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

	საწესდებო კაპიტალი	საწესდებო კაპიტალის ცვლილება	გაუნაწილებელი მოგება	პერიოდის მოგება/ზარალი	თანხა ლარი სულ კაპიტალი
ნაშთი 31 დეკემბერი 2023	25,101,309	-	506,201	-	25,607,510
წლის შემოსავალი	-	-	-	393,020	393,020
გამოცხადებული დივიდენდი	-	-	(263,158)	-	(263,158)
ნაშთი 31 დეკემბერი 2024	25,101,309	-	243,043	393,020	25,737,372

შპს „დაგეტა კაპიტალი“-ს დირექტორი
ირაკლი კაკაბაძე

6-13 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

2024 წლის ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

	2024 წელი ლარი	2023 წელი ლარი
მიღებული დივიდენდი	5,908,161	7,305,882
ხელფასები	(5,617,015)	(7,512,500)
სხვა ხარჯები	(2,578)	(2,602)
გადასახადები	-	-
სულ ფული და ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	288,568	(209,220)
ძირითადი საშუალებების შეძენა	-	-
ინვესტიციები მეკავშირე და ერთობლივ საწარმოებში	(182,500)	-
სესხის გაცემა	(872,673)	(2,643,225)
სესხის დაბრუნება	913,074	2,702,015
მიღებული პროცენტი	51,657	99,391
სულ ფული და ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	(90,442)	158,181
გაცემული დივიდენდი	(263,158)	(368,421)
სულ ფული და ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან	(263,158)	(368,421)
ფული და ფულადი სახსრების ცვლილება პერიოდის განმავლობაში	(65,032)	(419,460)
ფული და ფულადი სახსრები პერიოდის დასაწყისში	171,122	606,543
გაცვლითი კურსის ცვლილების ეფექტი ფულსა და ფულის ექვივალენტებში, წმინდა	(6,156)	(15,961)
ფული და ფულადი სახსრები პერიოდის ბოლოს	99,934	171,122

შპს „დაგეტა კაპიტალი“-ს დირექტორი
ირაკლი კაკაბაძე

6-13 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

ზოგადი ინფორმაცია

შპს “დაგეტა კაპიტალი”, ს/კ 402184088, (შემდგომში „კომპანია“) დაარსდა 2021 წლის აპრილში საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიის იურიდიული ფორმა არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (შპს).

კომპანიის იურიდიული მისამართი არის: საქართველო, თბილისი, დიდუბის რაიონი, აკაკი ბელიაშვილის ქ., N104

შპს “დაგეტა კაპიტალი” არის კომპანია, რომლის საქმიანობის სახეს წარმოადგენს:

ეკონომიკური საქმიანობის (NACE) კოდი 64200 - ჰოლდინგური კომპანიების საქმიანობები.

კომპანიის კაპიტალის წილობრივი ფლობა 2024 წლის 31 დეკემბრისა და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოადგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2024	31.12.2023
ირაკლი კაკაბაძე (01024015034)	100%	100%

1. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

განცხადება შესაბამისობის შესახებ

მოცემული ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულია „მცირე და საშუალო საწარმოებისთვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის ” (მსს ფასს) (IFRS for SMEs) შესაბამისად.

საქართველოში რეგისტრირებული კომპანია საბუღალტრო აღრიცხვის ჩანაწერებს აწარმოებს მასს ფასს-ის (IFRS for SMEs) შესაბამისად. უნდა ჩაითვალოს, რომ ზემოთ ხსენებულ სტანდარტს კომპანია იყენებს დაარსებიდან. ეს ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულია კომპანიის საბუღალტრო აღრიცხვის ჩანაწერების საფუძველზე. კომპანია თავის ოქმების კრებულებსა და ჩანაწერებს აწარმოებს ქართულ ლარში და ასევე ქართულ ლარში აწარმოებს ფინანსურ ანგარიშგებებს. ფინანსური ანგარიშგებების მომზადება მსს ფასს-ის (IFRS for SMEs) შესაბამისად მოითხოვს გარკვეული კრიტიკული სააღრიცხვო შეფასებების გამოყენებას. ასევე მოითხოვს ხელმძღვანელობისგან, გამოიყენოს განსჯა, კომპანიის საბუღალტრო პოლიტიკის გამოყენებისას. ის სფეროები, სადაც მნიშვნელოვანი განსჯა და შეფასებები გამოყენებული, ფინანსური ანგარიშგებების მომზადების დროს და მათი შედეგი მოცემულია სააღრიცხვო პოლიტიკასა და ახსნა-განმარტების შენიშვნებში.

ეს ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე.

კომპანიის საანგარიშო პერიოდი არის კალენდარული წელი, 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული მუხლები წარმოდგენილია ქართულ ლარებში, რომელიც კომპანიის ფუნქციონალური და წარსადგენი ვალუტაა.

უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად, წლის ბოლოსათვის. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე. უცხოურ ვალუტაში გამოხატული შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლის კურსის შესაბამისად.

მონეტარული მუხლების კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის მუხლში „მოგება / (ზარალი) საკურსო სხვაობიდან“. უცხოური ვალუტით მიღებული არამონეტარული მუხლები შეფასებულია ოპერაციის დღის კურსით.

2024 და 2023 წლის 31 დეკემბერს უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსი იყო შემდეგი: საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი

			აშშ დოლარი	ევრო
კურსი	2023 წლის 31 დეკემბრისთვის		2,6894	2,9753
კურსი	2024 წლის 31 დეკემბრისთვის		2,8068	2,9306

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდი ფულის ნაშთს საღაროში, ფულს ბანკში, ფულს გზაში.

მიღებული დივიდენდები

ინვესტიციებიდან მიღებული დივიდენდები აღიარდება როგორც შემოსავალი, იმ პერიოდში როდესაც ძალაში შევა უფლება დივიდენდის მიღების შესახებ.

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარდება იმ პერიოდის მოგება-ზარალში, როდესაც კომპანიას წარმოეშვა ვალდებულება.

ამჟამად კომპანიას სასესხო ვალდებულება არ გააჩნია.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულების თანხით.

ცვეთის დარიცხვა ხდება ნარჩენი ღირებულებით შემცირებული აქტივების თვითღირებულების განაწილების მიზნით მათი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე, წრფივი მეთოდის გამოყენებით.

ძირითად საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები ჯგუფების მიხედვით:

ფგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა
შენობები	20
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	7-30
ოფისის აღჭურვილობა და ავეჯი	5-12
სატრანსპორტო საშუალებები	5
სხვა	5-10

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

ამჟამად კომპანიას ძირითადი საშუალებები არ გააჩნია.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები, რომელიც შესყიდულია ცალკე, წარდგება თვითღირებულებით შემცირებული ნებისმიერი შემდგომი აკუმულირებული ამორტიზაციისა და გაუფასურების ზარალის ოდენობით, თუ ასეთი არსებობს.

არამატერიალურ აქტივებზე ამორტიზაციის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით აქტივის შეფასებული მომსახურების ვადის 5-10 წლის მანძილზე.

ამჟამად კომპანიას არამატერიალური აქტივები არ გააჩნია.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულება მოიცავს შეძენის და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტარანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. თვითღირებულება მცირდება მიღებული ფასდაკლებით.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები ფასდება თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები თვითღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი მეთოდით. ნეტო სარეალიზაციო ღირებულებამდე ჩამოწერის თანხებიც აღიარდება პერიოდის ხარჯად, როდესაც ხდება ჩამოწერა ან ადგილი აქვს დანაკარგებს.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების სარეალიზაციო ღირებულების გაზრდით გამოწვეული ნებისმიერი ჩამოწერის უკუგატარების (ანულირების) თანხა ზრდის გაუფასურებული მარაგების საბალანსო ღირებულებას განახლებულ ნეტო სარეალიზაციო ღირებულებასა და თვითღირებულებას შორის უმცირეს თანხამდე.

ამჟამად კომპანიას სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების მარაგები არ გააჩნია.

აქტივების გაუფასურება

საანგარიშო პერიოდის ბოლოს ტარდება აქტივების ტესტირება გაუფასურებაზე, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, ფასდება აქტივის ანაზღაურებადი

ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგება/ზარალში.

იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის აღდგენა/კომპენსაცია, აქტივის საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის აღდგენის/კომპენსაციის თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგება/ზარალში.

იჯარა

იჯარა ფინანსურ იჯარად კლასიფიცირდება მაშინ, როდესაც იჯარის პირობები ითვალისწინებს საიჯარო აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო (ჩვეულებრივ) იჯარად.

ფინანსური იჯარით აღებულ აქტივებზე უფლებები კომპანიის მიერ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აღიარდება ერთდროულად როგორც აქტივი და ვალდებულება, იჯარით აღებული ქონების რეალური ღირებულების ტოლი თანხით, ან თუ მასზე ნაკლებია, მინიმალური საიჯარო გადასახდელების დისკონტირებული ღირებულებით, რომელიც განისაზღვრება იჯარის დასაწყისში. საიჯარო გადასახდელები ნაწილდება დარიცხულ ფინანსურ ხარჯებსა და საიჯარო ვალდებულების შემცირებას შორის ისე, რომ წარმოიქმნება მუდმივი საპროცენტო განაკვეთი ვალდებულების დაუფარავი ნაშთის მიმართ. დარიცხული ფინანსური ხარჯები აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. ფინანსური იჯარით მიღებული აქტივები ჩაირთვება ძირითად საშუალებებში და მათაც ისევე დაერიცხება ცვეთა და ისევე ხდება გაუფასურების ზარალის შეფასება, როგორც კომპანიის საკუთრებაში არსებული აქტივების მიმართ.

ამჟამად კომპანიაში არ ფიქსირდება არც ფინანსური და არც საოპერაციო იჯარა

სავაჭრო მოთხოვნები და ვალდებულებები

სავაჭრო მოთხოვნები და ვალდებულებები წარმოიქმნება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და მათ პროცენტი არ არიცხება. ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგება/ზარალში. ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული

სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აღიარდება მოგება/ზარალში.

კომპანიას სავაჭრო მოთხოვნები და ვალდებულებები არ გააჩნია.

სესხები

კომპანიას სასესხო ვალდებულება არ გააჩნია.

დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოები

დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოების ვალდებულება განისაზღვრება შრომითი ხელშეკრულებიდან გამომდინარე.

ბონუსების სისტემა (დასაქმებულებზე)

კომპანიამ დასაქმებულს წახალისების მიზნით შეუძლია დაუნიშნოს ბონუსი/პრემია/დანამატი. ბონუსი/პრემია/დანამატის დასაქმებულისათვის მიცემის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს კომპანიის დირექტორი. ბონუსი/პრემია/დანამატის დასაქმებულისათვის მიცემა წარმოადგენს წამახალისებელ აქტს და შესაბამისად არ წარმოადგენს კომპანიის ვალდებულებას.

2. მიღებული დივიდენდი

დასახელება	2024 წელი ლარი	2023 წელი ლარი
შპს ალტა	5,908,161	7,305,882
შპს ქართული ხილის ფონდი	-	-
შპს პედიატრიული სერვისების განვითარების ფონდი	-	-
შპს 8000 მოსავალი სინერჯიში	-	-
სულ მიღებული დივიდენდი	5,908,161	7,305,882

3. ადმინისტრაციული და სხვა ხარჯები

დასახელება	2024 წელი ლარი	2023 წელი ლარი
ხელფასის ხარჯი	(5,552,000)	(7,512,500)
საკონსულტაციო ხარჯი	(2,142)	(2,551)
სხვა ადმინისტრაციული ხარჯი	(460)	(100)
სულ ადმინისტრაციული ხარჯები	(5,554,602)	(7,515,151)

4. სხვა მიმდინარე ვალდებულებები

დასახელება	2024 წელი ლარი	2023 წელი ლარი
მეკავშირე და ერთობლივ საწარმოებში ინვესტიციებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები	-	-
მოგების გადასახადის ვალდებულება	46,440	65,015
სულ სხვა მიმდინარე ვალდებულებები	46,440	65,015

5. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ექვივალენტები

დასახელება	2024 წელი ლარი	2023 წელი ლარი
ფულადი სახსრები სალაროში	-	-
ფული საბანკო ანგარიშებზე	99,934	171,122
სულ ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ექვივალენტები	99,934	171,122

6. ინვესტიციები მეკავშირე და ერთობლივ საწარმოებში

ინვესტიციები მეკავშირე და ერთობლივ კონტროლს დაქვემდებარებულ საწარმოებში აღირიცხება თვითღირებულებით, გაუფასურების ზარალის გამოკლებით.

დასახელება	2024 წელი	2023 წელი
	ლარი	ლარი
შპს ალტა	25,032,500	24,850,000
შპს ქართული ხილის ფონდი	209,484	209,484
შპს პედიატრიული სერვისების განვითარების ფონდი	94,875	94,875
შპს 8000 მოსავალი სინერჯიში	346,741	346,741
სულ ინვესტიციები მეკავშირე და ერთობლივ საწარმოებში	25,683,600	25,501,100

7. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები

დაკავშირებულ მხარეს შორის ოპერაციები არ ფიქსირდება.

8. ფინანსური რისკები

კომპანიის საქმიანობა დაკავშირებულია სხვადასხვა ფინანსურ რისკთან. ესენია სავალუტო, საკრედიტო და ლიკვიდობის რისკები. კომპანიის რისკის მართვა მიზნად ისახავს კომპანიის ფინანსურ საქმიანობაზე უარყოფითი გავლენის მაქსიმალურად შემცირებას.

სავალუტო რისკი არის საფრთხე, რომ ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულება სავალუტო კურსის ცვლილების გამო შეიცვლება.

9. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცდა 2025 წლის 22 სექტემბერს.

შპს „დაგეტა კაპიტალი“-ს დირექტორი
ირაკლი კაკაბაძე
